ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
გიორგი ტურაზაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე
ნათია კორკოტაძე – კოლეგიის წევრი
ეკატერინე გასიტაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ფ. თ.
საჩივრის ავტორის წარმომადგენელი: ზ. თ.
საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 04.06.2014
საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 041/14
ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი – ო. მ. /სიითი №/
საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ო. მ-სათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2014 წლის 04 ივლისს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ფ. თ-ის წარმომადგენელმა და მოითხოვა ადვოკატ ო. მ-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განცხადებით, მისი და ადვოკატ ო. მ-ის ურთიერთობა დაიწყო 2013 წლის 24 დეკემბერს სისხლის სამართლის საქმეზე უძრავ ქონებასთან დაკავშირებით. საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, ადვოკატი დაჰპირდა, რომ კანონის თანახმად, ბინა დაუბრუნდებოდა. ადვოკატმა საჩივრის ავტორს საადვოკატო მომსახურებისათვის მოსთხოვა 500 (ხუთასი) აშშ დოლარი. საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა ადვოკატს თავდაპირველად გადასცა 400 (ოთხასი) ლარი, ხოლო ერთი კვირის შემდეგ – 450 (ოთხასორმოცდაათი) ლარი.

1.3 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ გავიდა 7 თვე და ადვოკატმა ო. მ-მა სულ სამი განცხადება დაწერა, ხოლო წარმომადგენელს უთხრა, რომ პროკურატურა უარს აცხადებდა სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე და მან საქმის წარმოება დაასრულა. ადვოკატმა კლიენტს მიანიშნა, რომ საქმის წარმატებით დასრულების ალბათობა დაბალი იყო, ფული

პირადი საჭიროებისათვის გამოიყენა და საჩივრის ავტორის წარმომადგენელს მოსთხოვა, აღარ დაერეკა მისთვის. ზ. თ-ს განცხადებით, ადვოკატის გზის ხარჯებს თავად ფარავდა. საჩივრის ავტორის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ადვოკატი ურჩევდა, არჩევნებამდე გორის ტელევიზიაში გაეშუქებინა საქმე, როგორც ეროვნული ჩაგვრის ფაქტი. საჩივრის ავტორის წარმომადგენელი თავს იკავებდა ამგვარი ქმედებისაგან.

1.4 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, მან 2014 წლის 04 ივნისს მიმართა ადვოკატს, რათა დაებრუნებინა თანხა, რაზეც ადვოკატი გაბრაზდა, მოექცა უხეშად და მოსთხოვა, სასწრაფოდ დაეტოვებინა კაბინეტი. შემდეგ ადვოკატი ო. მ. მის ზარებს არ პასუხობდა, ბოლოს კი უპასუხა, რომ მასთან ურთიერთობას წყვეტდა.

1.5 საჩივრის ავტორი მოითხოვს, რომ ადვოკატ ო. მ-ს დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან ერთად დაეკისროს მისთვის გადახდილი თანხის დაბრუნება.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ო. მ-მა ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2014 წლის 19 ივნისს, რომლის მიხედვითაც მან ზ. თ-სთან ურთიერთობა დაიწყო 2013 წლის 24 დეკემბერს. ზ. თ-მ ადვოკატს განუცხადა, რომ მისი ოჯახის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლი მდებარე ქარელის რ.–ში, დაბა აგარაში, ტაბიძის ქ. -- –ში კონკრეტული პირების მიერ მითვისებულ იქნა მოტყუებით და წარმოადგინა ხაშურის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 1996 წლის 05 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე 2/86, რომლის თანახმად თ-ების ოჯახს დაუბრუნდა აღნიშნული საცხოვრებელი სახლი. სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა ქარელის ტექ. ინვენტარიზაციის ბიუროს იმჟამინდელმა უფროსმა ვ. თ-მ განაცხადა, რომ აღნიშნული კანონდარღვევა ჩაიდინა გამგებლის, მ. ო-ის მითითებით.

2.2 ადვოკატის განმარტებით, მან კლიენტს გაუწია შემდეგი სახის კონსულტაცია: წარმოდგენილი ფაქტი, ადვოკატის აზრით, მოიცავდა დანაშაულის ნიშნებს და შესაძლებელი იყო ფაქტზე გამოძიების დაწყების მოთხოვნით მიემართათ შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოებისათვის; ფაქტზე გამოძიების დაწყების შემთხვევაში, გამოძიების საპროცესო ზედამხედველს, ხაშურის რაიონულ პროკურატურას შესაძლოა მიეღო დადგენილება კონკრეტული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ – დანაშაულის ხანდაზმულობის გამო; კლიენტს უნდა გაევლო კონსულტაცია სამოქალაქო საქმეთა სპეციალისტთან, რამდენად გამოიყენებდა ფ. თ. პროკურატურის დადგენილებას სამოქალაქო სამართალწარმოებაში, მიუხედავად სავარაუდო დანაშაულის ხანდაზმულობისა.

2.3 ადვოკატის განცხადებით, მომდევნო შეხვედრაზე კლიენტმა განუცხადა, რომ გაითვალისწინა მისი კონსულტაცია, გაესაუბრა სამოქალაქო სამართლის სპეციალისტს, რომელმაც განუმარტა, რომ სამოქალაქო სამართალწარმოებაში პროკურატურის დადგენილებას გამოიყენებდა. კლიენტმა ო. მ-სთან შეხვედრაზე მოიყვანა თავისი ორი ნაცნობი ადვოკატი – მათივე განცხადებით, ერთი სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის იყო, ხოლო მეორე - სისხლის სამართლის სპეციალიზაციის. ადვოკატი ო. მ-ის განმარტებით, კლიენტის თხოვნითა და მისივე თანხმობით, ამ უკანასკნელის მიერ მოყვანილი ადვოკატების თანდასწრებით კვლავ განიხილეს საქმის წარმოების სტრატეგია და მოსალოდნელი შედეგი. ადვოკატები დაეთანხმნენ ო. მ-ს საქმის სამართლებრივ პერსპექტივის შესახებ. კლიენტმა ადვოკატისაგან მოითხოვა ხელშეკრულების დადება.

შეთანხმების მიხედით, ადვოკატი იღებდა ვალდებულებას, წარმოედგინა და დაეცვა კლიენტის ინტერესები მოქმედი კანონმდებლობისა და მისი კომპეტენციის ფარგლებში. ამასთან, ადვოკატი არ იღებდა ვალდებულებას კლიენტისათვის სასურველი შედეგის დადგომაზე. საქმის წარმოების მიმდინარე ხარჯების ანაზღაურება ეკისრებოდა კლიენტს, ხოლო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში კლიენტს იურიდიული მომსახურებისათვის გადახდილი თანხა უკან არ უბრუნდებოდა. ადვოკატმა შეასრულა შემდეგი სახის სამუშაო: მოამზადა და წარადგინა დასაბუთებული განცხადება შსს–ის ქარელის სამმართველოში, გამოძების დაწყების მოთხოვნით; ადვოკატი შეხვდა ქარელის სამმართველოს, აგარის პოლიციის განყოფილების გამომძიებელს გ. ა-ს და სრულყოფილად განუმარტა ფ. თ-ის მოთხოვნის კანონიერება; ადვოკატი ორჯერ შეხვდა გამოძიების საპროცესო ზედამხედველს, ხაშურის რაიონული პროკურატურის პროკურორს გ. ხ-ს და მოითხოვა გამოძების დაწყება; ადვოკატმა გამოძიების გაჭიანურების გამო კიდევ ერთხელ მოამზადა და გააგზავნა დასაბუთებული წერილი პროკურატურაში.

2.4 ადვოკატი განმარტავს, რომ იგი კლიენტის თხოვნით შეხვდა და სრულად განუმარტა საქმის არსი შიდა ქართლის ტელეკომპანიის „თრიალეთი“ დირექტორს, რომელიც მის კლიენტს, ამ უკანასკნელისავე განცხადებით, შეპირდა დახმარებას და ითხოვდა საქმის დეტალების გაცნობას. იგივე საფუძვლით ადვოკატი შეხვდა კათოლიკური ეკლესიის ეპისკოპოსს, ამ უკანასკნელის სამუშაო ოფისში, მდებარე ქ. თბილისში, მეტროსადგურ „დიდუბის“ მიმდებარე ტერიტორიაზე. ადვოკატი უარყოფს ყოფილი კლიენტის მიერ საჩივარში დაფიქსირებულ პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ მან ურჩია კლიენტს საკითხის ტელევიზიით გაშუქება და ეროვნულ ნიადაგზე განხორციელებულ ჩაგვრად საქმის წარმოჩენა.

2.5 ადვოკატის განცხადებით, ხაშურის რაიონული პროკურატურიდან გამოძიების დაწყებაზე უარის მიღების შემდეგ, მან მოამზადა განცხადება საქართველოს მთავარ პროკურატურაში შესატანად, თუმცა, კლიენტმა უარი განაცხადა ადვოკატის შემდგომ მომსახურებაზე იმ მოტივით, რომ აპირებდა საქმის სხვა გზით გაგრძელებას და აღარ სჭირდებოდა ადვოკატის მომსახურება, ამასთან, მოითხოვა ადვოკატისაგან საქმის მასალებისა და იურიდიული მომსახურებისათვის გადახდილი თანხის უკან დაბრუნება.

2.6 ადვოკატის განმარტებით, მან მოთხოვნისთანავე გადასცა კლიენტს საქმის მასალები, ხოლო იურიდიული მომსახურებისათვის მიღებული თანხის დაბრუნებაზე, შეთანხმებიდან გამომდინარე, უარი განუცხადა. ადვოკატი ვარაუდობს, რომ საქმის მასალების გადაცემისას კლიენტს შემთხვევით გადასცა ასევე მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულების მეორე ეგზემპლარი, რის შედეგადაც კლიენტის ხელში აღმოჩნდა ხელშეკრულების ორივე ეგზემპლარი. ეთიკის კოლეგიის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა სხვა კლიენტებთან გაფორმებული სტანდარტული ხელშეკრულების ნიმუშიდან კლიენტის გვარის გახმაურების გარეშე გამოაქვეყნა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების ის სტანდარტული პირობები, რომელბიც მისი განმარტებით ასახავს ადვოკატისა და კლიენტის უფლება – მოვალეობებს: „ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება ან არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს. ადვოკატი არ აძლევს არანაირ გარანტიას კლიენტს საქმის წარმოების შედეგზე“(ხელშეკრულ;ების 2.3 პუნქტი). „კლიენტს შეუძლია, უარი განაცხადოს ადვოკატის მომსახურებაზე, მაგრამ ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს შემსრულებელს“ (ხელშეკრულების 2.7 პუნქტი). „ასეთის არსებობისას, შემსრულებლისათვის გადახდილი

თანხა ანაზღაურებას არ ექვემდებარება“ (ხელშეკრულების 2.8 პუნქტი).“ „საქმის წარმოების მიმდინარე ხარჯების ანაზღაურება ეკისრება კლიენტს.“ ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის შეკითხვის პასუხად ადვოკატმა განმარტა, რომ კლიენტს ამ შემთხვევაში არ ეკუთვნოდა ადვოკატისათვის გადახდილი თანხის დაბრუნება, რადგან ადვოკატმა კონკრეტული მომსახურება გასწია მისი ინტერესებისათვის, შეისწავლა საქმის არსი და მოამზადა დოკუმენტები, რომლებიც წარდგენილი იქნა სხვადასხვა სამართალდამცველ ორგანოში. ადვოკატმა განმარტა, რომ გადახდილი ჰონორარის დაბრუნების საკითხი ეთიკურად მაშინ წარმოიშვება, როდესაც ადვოკატს არ აქვს შესრულებული სამუშაო, არ აქვს გაწეული რეალური მომსახურება კლიენტისათვის და ფორმალურად აქვს ხელშეკრულება გაფორმებული.

2.7 ადვოკატის განმარტებით, კლიენტი და მისი ოჯახის წევრები ტელეფონის საშუალებით უკავშირდებოდნენ მას, ითხოვდნენ თანხის დაბრუნებას და ემუქრებოდნენ ფიზიკური ანგარიშსწორებით. ასევე, კლიენტის დამ სოციალურ ქსელის „ფეისბუქი“ ადვოკატის გვერდზე გაავრცელა ადვოკატის პირადი ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი განცხადებები, თითქოს ადვოკატმა მთელი ქონება თაღლითობითა და კლიენტების მოტყუებით შეიძინა. ადვოკატის განცხადებით, კლიენტის ნათესავი, სავარაუდოდ, ფ. თ-ის მეუღლის, ზ. თ-ს დის ქმარი მოვიდა მის გასაცნობად, მეორე დღეს კი მისი მხრიდან წამოვიდა პირადი მუქარა.

2.8 ადვოკატის განცხადებით, კლიენტის მიერ წარდგენილი განცხადება არის უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი და ცილისწამებლური.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ო. მ. არის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია – სისხლის სამართალი. ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე, იგი არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 ფ. თ-მ სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა 2014 წლის 04 ივნისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2013 წლის 24 დეკემბრიდან 2014 წლის 04 ივნისამდე. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32–ე მუხლის მე–2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ო. მ-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32–ე მუხლის პირველი ნაწილითა და ,,ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ დებულების 30–ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძვლები.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატი შეჰპირდა საქმის მოგებას, თუმცა არ განახორციელა კვალიფიციური საადვოკატო მომსახურება.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ო. მ-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევაზე:

5.2.1 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა".

5.2.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–3 ნაწილი: ,,ადვოკატს უფლება არა აქვს კლიენტს მისცეს გარანტიები მისგან აღებული საქმის შედეგებთან დაკავშირებით."

5.3 ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე იმოქმედოს კლიენტის ინტერესების დასაცავად და უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოქმედებების კეთილსინდისიერად შესრულება.

5.4 საჩივრის ავტორმა ადვოკატ ო. მ-ს საადვოკატო მომსახურებისათვის მიმართა სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით. იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება გააფორმა 2013 წლის 24 დეკემბერს. კლიენტმა ადვოკატს განუცხადა, რომ მისი ოჯახის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლი მდებარე ქარელის რ–ში, დაბა აგარაში, ტაბიძის ქ. -- –ში კონკრეტული პირების მიერ მითვისებული იქნა მოტყუებით. მხარეთა შორის 2013 წლის 24 დეკემბერს გაფორმებული საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება საქმეში წარმოდგენილი არ არის, მაგრამ მხარეთა ახსნა–განმარტებებითა და წარმოდგენილი მასალებით დგინდება, რომ ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დასაცავად განახორციელა შემდეგი მოქმედებები: 2013 წლის 26 დეკემბერს განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გორის პოლიციის სამმართველოს; 2014 წლის 22 იანვარს განცხადებით მიმართა ქარელის რაიონის შ.ს სამმართველოს პოლიციის განყოფილებას, 2014 წლის 22 აპრილს განცხადებით მიმართა ხაშურის რაიონულ პროკურატურას; 2014 წლის 06 მარტს განცხადებით მიმართა ქარელის რაიონის შ. ს. სამმართველოს დაბა აგარის პოლიციის განყოფილებას. საქმეში წარმოდგენილია აღნიშნული დოკუმენტების 2 ეგზემპლარი, მათგან თითო არის ადვოკატის მიერ მომზადებული ეგზემპლარი და თითოეული ასეთი დოკუმენტი კლიენტის წარმომადგენლის მიერ ხელით არის გადაწერილი, შინაარსის შეუცვლელად, სრულიად იდენტური ტექსტით; კლიენტის სურვილით სამართალდამცველ ორგანოებში ყველა განცხადება შედიოდა ხელნაწერი სახით ზ. თ-ს ხელმოწერით.

5.5 ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ საქმის დასრულება კლიენტისათვის არასასურველი შედეგით არ მიიჩნევა არაკვალიფიციურ წარმომადგენლობად. ადვოკატის ვალდებულებას წარმოადგენს მინიჭებული რწმუნებულების საფუძველზე და კლიენტთან შეთანხმებული წესით განახორციელოს შესაბამისი საადვოკატო მომსახურება, რადგან საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება თავისი არსით კვალიფიციური მომსახურების გაწევასა და კლიენტის ინტერესების სათანადოდ დაცვას გულისხმობს, რაც მოცემულ შემთხვევაში ადვოკატმა ო. მ-მ შეასრულა.

5.6 საჩივრის ავტორს პრეტენზია აქვს ადვოკატის მიერ გაწეული კონსულტაციების თუ საპროცესო მოქმედებათა მართებულობასთან დაკავშირებით, ამის თაობაზე ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ 2010 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებით /დისციპლინური საქმე №026/10/ დაადგინა, რომ: ,,მის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ

განხორციელებული საპროცესო ქმედებების და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება, მათ შორის, ეთიკის კომისია ვერ შეაფასებს, თუ რამდენად საფუძვლიანი იყო ადვოკატის მიერ პროცესზე წარმოთქმული სიტყვა ან მომზადებული დოკუმენტი, თუმცა, კვალიფიციურ და კეთილსინდისიერად განხორციელებულ წარმომადგენლობად არ ჩაითვლება, თუ ადვოკატი არ ემზადება პროცესისთვის ან საერთოდ არ ცხადდება პროცესზე, ასევე არ ასრულებს კლიენტის მითითებებს, თუ არ არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი ამ მითითებების შეუსრულებლობისა, რაც პირველ რიგში შეიძლება გამოიხატებოდეს კლიენტის სამართლებრივი პოზიციის ზიანში, თუმცა აქაც ძირითად გადაწყვეტილებას კერძო ავტონომიის ფარგლებში იღებს კლიენტი ადვოკატისაგან მიღებული კვალიფიციური რჩევის შემდეგ.“

5.7 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ მის კომპეტენციას სცილდება შეაფასოს ადვოკატის მიერ განხორციელებული სამართლებრივი მოქმედებები, მაგრამ ვერ დაეთანხმება საჩივრის ავტორის პოზიციას, რომ ადვოკატმა არ განახორციელა კვალიფიციური და კეთილსინდისიერი საადვოკატო მომსახურება. საპროცესო კოლეგია ეყრდნობა საქმის მასალებში თავად საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, რომლებითაც დასტურდება საჩივრის საწინააღმდეგო პრეტენზია, კერძოდ, ადვოკატს რეალურად აქვს გაწეული მომსახურება არა მხოლოდ სამართლებრივი კონსულტაციების, არამედ კონკრეტული დოკუმენტების მომზადების სახით, საჩივრის ავტორის წარმომადგენლი თავად განმარტავს, რომ საქმის შესაძლო შედეგთან - წარმატებით დასრულების ალბათობა ნაკლებად იყო მოსალოდნელი (იხ. საჩივრის ავტორის პოზიცია გადაწყვეტილების პ. 1.3) - დაკავშირებით ინფორმირებული იყო, საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია საპროცესო კოლეგიისათვის ისეთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ადვოკატის არაკვალიფიციურ და არაკეთილსინდისიერ მომსახურებას, მ.შ. არ მიუთითებია ისეთ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომელიც დასაბუთებულ ვარაუდს შეუქმნიდა ეთიკის კომისიას, რათა კომისიას საკუთარი ინიციატივით გამოეთხოვა რაიმე მტკიცებულება პროფესიული თვითრეგულირების მიზნიდან გამომდინარე.

5.8 ეთიკის კომისია გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2002 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვით (განაცხადი №C-309/99; J.C.J. Wounters and others vs Algemene Raad van de Nederlandse Orde van Advocaten): ,,ადვოკატთა ასოციაციას არ შეუძლია დაადგინოს წესები ადვოკატებისათვის, რომელიც მათ მიერ გაწეული სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი რჩევის ხარისხს შეაფასებს. ადვოკატები საადვოკატო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად აბარებენ გამოცდებს და მუდმივად გადიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარებს. გარდა ამისა, იურიდიული მომსახურების ბაზარზე კლიენტი აკეთებს არჩევანს, თუ რომელი ადვოკატის მომსახურება მიიღოს და შესაბამისად წინასწარ უნდა ითვალისწინებდეს მისი კვალიფიკაციის ხარისხს.”

5.9 საჩივრის ავტორის მოთხოვნაზე, რომ ადვოკატმა დაუბრუნოს საადვოკატო მომსახურებისათვის გადახდილი თანხა – 500 (ხუთასი) აშშ დოლარი, ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, „ეთიკის კომისია ამოწმებს ადვოკატზე შემოსულ ინფორმაციას, სწავლობს მის საფუძვლიანობას და წყვეტს ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს“. შესაბამისად, ადვოკატის მიერ კლიენტისათვის თანხის დაბრუნების საკითხის განხილვა ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის, მხარეს

შეუძლია ამის თაობაზე მიმართოს სასამართლოს და სამოქალაქო დავა აწარმოოს ადვოკატის წინააღმდეგ.

5.10 ეთიკის კომისია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის პოზიციას იმის თაობაზე, რომ ადვოკატმა გარანტია მისცა მას საქმის შედეგზე, რადგანაც საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება ეთიკის კომისიის დასაბუთებული ვარაუდის შექმნისათვის ადვოკატის მიერ კლიენტისათვის საქმის შედეგის თაობაზე დაპირების მიცემის შესახებ. აღნიშნული ეფუძნება მხოლოდ კლიენტის განცხადებას და წარმოდგენილი არ არის რაიმე მტკიცებულება, ასევე კლიენტს არ მიუთითებია ისეთი მტკიცებულების მოპოვების შესაძლებლობაზე, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ადვოკატის მიერ მსგავსი ქმედების განხორციელების ფაქტის დადასტურება, შესაბამისად, არ დასტურდება „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე – 8 მუხლის მე–3 ნაწილის დარღვევა.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 32–33-ე მუხლებით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე–3 და მე-5 ნაწილებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის 5-6 ნაწილებით, მე-19 მუხლით, 27-ე მუხლით, 28-ე მუხლით, 30-ე მუხლის მეორე პუნქტით, 31-ე მუხლითა და 40-ე მუხლის პირველი ნაწილით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №041/14 არ აღიძვრას დისციპლინური დევნა ადვოკატ ო. მ-ის მიმართ /სიითი №/.

2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.

3. ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გიორგი ტურაზაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ნათია კორკოტაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გასიტაშვილი/